

რექტორი – პროფესორი მარინა ფირცხალავა.

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ. 2754466, 2752496.

ელ.ფოსტა: info@geosis.edu.ge; mpirtskhalava@yahoo.com



პერსონალური ინფორმაცია:

პროფესორმა მ.ფირცხალავამ მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო 1971 წელს თერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1990 წელს ქკიევში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1991 წელს საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში იგი არჩეულ იქნა ბიოლოგიისა და ზოგადი გენეტიკის კათედრის გამგედ, 1994 წელს კი პროფილაქტიკური მედიცინისა და ადამიანის ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. პროფესორი მ.ფირცხალავა არის 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და 3 მონოგრაფიის ავტორი.

პროფესორი მარინა ფირცხალავა მრავალჯერ არის დაჯილდოებული სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობისათვის. იგი საერთაშორისო სამეცნიერო მუშაობასაც ეწევა, რისთვისაც ქკემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ასოციაციამ აირჩია ამ ასოციაციის წევრად და დამსახურებულად გადასცა წოდება FIBA , რომელიც მიეთითება სახელის შემდეგ. 2000 წელს ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა პროფესორი მ.ფირცხალავა დააჯილდოვა პრიზით “წარმატების გასაღები”. 2000 და 2001 წლებში ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ იგი აღიარებულ იქნა ამ წლების მეცნიერ ქალად. ქკემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა 2001 წელს ქალბატონ მ.ფირცხალავას გადასცა სპენსერების ოჯახის მიერ დაწესებული ოქროს მედალი ორი ბაფთით და აღიარა , როგორც საერთაშორისო ქალი. ბიოქიმიაში გაწეული შრომისათვის ქკემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ 2002 წელს გადაეცა დიპლომი. XXI საუკუნეში მიღწეული წარმატებებისათვის ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა დააჯილდოვა მარმარილოს დაფით ,წარწერით “IBC Lifetime Achievements Award “. პროფესორი მ.ფირცხალავა შესულია ჟურნალ “ ვინ არის ვინ” მე-8 გამოცემაში, ასევე XXI საუკუნის 2000 გამოჩენილ ევროპელთა სიაში და 2002-2003 წლების მსოფლიოს გამოჩენილ ინტელექტუალთა სიაში.